



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელი

ბრძანება

№648

2016 წლის 27 ივნისი

ქ.ლაგოდეხი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირის ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე-ე“ და „ე-ვ“ ქვეპუნქტების, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ 30-ე მუხლისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 23 ივლისის N139 ბრძანების მე-3 მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ:

მუხლი 1. შეიქმნას ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირის ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისია.

მუხლი 2. კომისიის შემადგენლობა განისაზღვროს შემდეგი შემადგენლობით:

კომისიის თავმჯდომარე:

- იოსებ ტყემალაძე - გამგებლის მოადგილე;

კომისიის წევრები:

- გიორგი მჭედლიშვილი - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე (ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);

- თამარ დარბაიძე - კომისიის მდივანი (იურიდიული სამსახურის მთავარი სპეციალისტი);

- დავით მათიაშვილი - საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის კომისიის თავმჯდომარე;

- ზვიადი ხვედელიძე - საკრებულოს ფრაქცია „სოფლის ხმას“ თავმჯდომარე.

მუხლი 3. კომისიამ თავისი უფლებამოსილება განახორციელოს საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 23 ივნისის N139 ბრძანებით დამტკიცებული „პირის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) დამდგენი კომისიის ტიპური დებულების“ შესაბამისად.

მუხლი 4. ბრძანება ამოქმედდეს 2016 წლის 3 ივლისიდან.

მუხლი 5. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში გურჯაანის რაიონულ სასამართლოში შემდეგ მისამართზე: ქ.გურჯაანი, სანაპიროს ქ. №22.

გამგებელი:



მ. გარდოჯამბურია